

„ცნობის ფურცლის“ დამატება.

2. 262

ପ୍ରାଚୀତ୍ୟନ୍ଧିକା ମନ୍ଦିର

სამეცნიერო ს

სამრევლო სკოლებში

3064

४८

პ-ნი თ. ეროვნულია.

၈. အွေးမြန်မြေသာဒေဝါ.



ଓଡ଼ିଆରେ

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.

1905



Дозволено цензурою, 12-го апреля 1905 года. Тифлисъ.

ბ. თ. ქორდანის და მართული ენა

სამეგრელოს სამრევლო ცერტებში.

გაზ. „ცნობის ფურცლის“ № 2765 დასტამ-
ბულია საპასუხო წერილი ბ. თ. ქორდანიასი ამ
სათაურით: „ჩურჩულს ყური არ ათხოვოთ, საქმის
გარემოებას დაუჯერეთ“. ამ წერილში ბ. თ. ქორ-
დანია ცდილობს დააჯეროს მკითხველი, რომ ის,
რაც თქმულა და დაწერილა მის შესახებ, მხოლოდ
ჩურჩულია, მეტი არაფერი, ე. ი. სრული და მტკნა-
რი სიცრუვეა. ასე კია ეს? ვნახოთ.

მკითხველთან კი პირველათვე ბოდიში უნდა მო-
ვითხოვო. ბოდიშია საჭირო ერთი იმიტომ, რომ
დღეს მკითხველის ყურადღება ბ. თ. ქორდანიასა
და მის სადევ-გმირო საქციელზე უნდა შევაჩერო,
სწორეთ იმ დროს, როცა აქაფებული ცხოვრება ნა-
პირებს ეჯახება და მიღამოს წალეკვას უპირებს. მეო-
რეთ კი საბოდიშო მაქვს კიდევ იმიტომ, რომ, ბ.
თ. ქორდანიას მიერ ნათქვამის სრული სიცრუვე
რომ გამოაშკარავდეს, საჭიროა ვრცელი და, მაშასა-
დამე, მკაფიოებისათვის მოსაწყენი განმარტება ბ.
თ. ქორდანიას საქციელისა. ამისათვის კი, აბა, ვის
სცალია დღეს, როცა ყოლითერი აჩქარებულია დღეს
და ასწრაფებული... აი, მიუხედავათ ამ გარემოებასა,
მე მაინც ვთხოვ მკითხველს, ცოტაოდენი ყურად-
ღება იქონიოს და ცოტაოდენი დროც დაჰკარგოს,

ვინაიდგან ამას მოითხოვს თვით ხასიათი და მნიშვნელობა იმ საგნისა, რომელზეც იძულებული ვარ ვისაუბრო.

გაზ. „ცნობის ფურცლის“ მკითხველებმა უწყიან, რომ ბ. თ. უორდანიამ ჯერ კიდევ 1903 წ. 13 ოქტომბერს გაზ. „ივერიის“ № 218 საქვეყნო ღალად ჰყო:

„ცილს მწამებენ, ვითომ მე ხელი შემეტყოს სამეგრელოს სკოლებიდან ქართულ ენის განდევნისათვის; მე ამით საქვეყნოთ ვაკხადებ, რომ ეს ცილის წამება მოჭორილ-მოგონილია ჩემის მტერებისაგან და ამ ცოტა ხანში ჩემ სიმართლეს საბუთიანად დაფამტკიცებ.“

მაშინ „ივერიის“ რედაქციამაც დასტური დასცა, რომ სიმართლის საბუთიანად დამტკიცებას დიდის სიამოვნებით დავსტამპავთო. ამ აღთქმის აქტი წელიწადზე მეტმა ხანშა განვლო, მაგრამ, როგორც ვიცით, არსავ ჩანს სიმართლის საბუთიანად დამტკიცება.

ამას წინად ბ. თ. უორდანიამ ისეთივე გაბედულებითა და აღტაცებით გაზ. „ცნობის ფურცლის“ რედაქციას დეპეშით აღუთქვა:

„ჩემ წინააღმდეგ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი წერილი ყალბ ანგარიშზეა დამყარებული. რედაქცია შეცდომაში შეუყვანიათ ჩემ მტრებს (?); მოუცადეთ ჩემ პასუხს.“*)

მაგრამ არც ეს პასუხი ჩანს არსად, თუ, რასაკვირველია, პასუხად არ ჩავთვლით იმ აბდა-უბდას და

*) იხ. „ცნობის ფურც.“ № 2746. 17 თებერვალი 1905 წ.

ბანზე სიტყვის აგდებას, რომელიც ბ. თ. ქორდანიამ მოათავსა გაზ. „ცნობის ფურცლის“ № 2751 ამა წლის 22 თებერვლის თარიღით და რომელშიც გარეითათ ამტკიცებს, თუ საიდან წარმოდგა ვითომ ყალბი ეგზემპლიარი მის მიერ შედგენილ ანგარიშისა. ახლა კი, ამ უკანასკნელად, ბ. თ. ქორდანია ერთბაშად პასუხს აძლევს ყველა იმ წერილებს და შენიშვნებს, რომელნიც მის წინააღმდეგ მოთავსებული იყვენ ჩვენს უურნალ-გაზეთებში. ახლაც გაიძახის, „თვით საქმეს“ შეხედეთ და შეისწავლეთო. თვით ამ საქმის ვითარების საბუთებს კი როდი იხსენიებს. აშკარაა ყველასათვის, რომ ბ. თ. ქორდანიას იმ თავიდანვე დღემდე თკისი აღთქმა — სიმართლეს საბუთიანად დავამტკიცებო, ჯერაც არსად და არაფრით არ შეუსრულებია. მე მგონი, რომ ამ დროის განმავლობაში კი მას შემთხვევაც ჰქონდა და გარემოებაც განსაკუთრებით ხელს უწყობდა, ეს აღთქმა სისრულით და უკლებლივ შეესრულებია. დღეს კი ზოგთა მოსატყუებლად.

«არ მაწერინეს; არც მალაპარაკეს; მე მუდამ იმას ვიხვეწებოდი: საქვეყნოთ მალაპარეთ კრებებში, ან გაზეთებში მაწერინეთ მეთქი». *)

ჩვენ ვნახეთ, რომ მას დრო და შემთხვევა ჰქონდა გაზეთში ეწერა, და ქვევით ვნახავთ, რომ დიდ საზოგადოებაშიც არა თუ მისცეს შემთხვევა ლაპარაკისა, არამედ პარდაპირ მოსთხოვეს კიდეც. მაგ-

*) იხ. „ცნობის ფურცლი“ № 2765. 9 მარტი 1905 წ.

რამ აქაც და აქაც მან კლიტე-ბოქლომი დაიდო
ენაზე.

თუმცა ასე სდუმს ბ. თ. უორდანია საბუთებზე, ჩვენ მარც, რადგან მკითხველ საზოგადოების წინაშე დავსდეთ სიტყვა, *) იძულებული ვარო ვაუწყოთ მკითხველთ საბუთები ბ. თ უორდანის ნამოქმედარისა. დავიწყოთ თავიდან. ბ. თ. უორდანია ბრძანებს:

„კალამმა“ და გ. გოვიჩაიშვილმა ორი ბრალი დამდეს. ერთი ის, ვითომ ჩემის წყალობით სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა გაგდებულ იყოს, არ ასწავლიდნენ. ამ საშინელ ბრალდების წინააღმდეგ, „თვით საქმე“, დახეთ, რას ლალადებს: არც ერთს სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა გაგდებული არ ყოფილა და არც არის; ჩემსობას ერთი დღეს არ შეწყვეტილა ქართულის სწავლება და დღესაც კანონიერად სწარმოებს ისე, იმავე პროგრამით, როგორც ყველა ქართლ-კახ-იმერეთის სკოლებშია“. კიდევ ქვევით დასძენს: „სამრევლო სკოლებშიც ქართული ენა და ლოცვებიც დამიცავს, ხოლო უკანასკნელი უუძლიერესი იერიშიც სახელოვანად მომიგერებია და სხვის მეოხებით წამხდარი საქმე ისევ მომიბრუნებია. უკანასკნელ ქართული ენა გავამეფებინე სამრევლო სკოლებში, ხოლო სამეგრელოში მისი სწავლება განსაცდელისაგან დავიფარე.“

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2755 26 თებერვ. 1905 წ.

აი, ამას ამბობს ბ. თ. უორდანია და ასეთ დევ-
გმირადა და ბუმბეროზადა პყავს თვისი თავი დახა-
ტული.

რამდენათაც საქმის ვითარება ვიცით, ის არა-
ვის უთქვამს და ვერც ვერავინ იტყოდა, რომ სა-
მეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართულს არ ას-
წავლიან, ან არ ასწავლიდნენ. ამბობენ და სთქვეს
კიდეც მხოლოდ ის, რომ 1902 წლის დასასრულს
განსაცდელი მიადგა ამ სკოლებს და კინაღამ იქიდან
ქართული ენა გამოაძევეს. მაგრამ ეს განზრახვა ვერ
შესრულდა. ვერ შესრულდა კი იმიტომ, რომ ამას
მაშინ ერთხმად წინააღმდეგა გურია-სამეგრელოს სა-
ეპარქიო საბჭო და ამ საბჭოს ყველა სამაზრო გან-
ყოფილებანი, ამათ კი ბანი მისცა სამეგრელოს სამ-
ლვდელოებამ, და ყველა ესენი კი განამხნევა და
გაათამამა თვით ყოვლად სამლვდელო ალექსანდრეს
გაბედულმა მომხრეობამ. ამ ჟროს კი ბ. თ. უორდა-
ნია არა თუ ხმის არ იღებდა, არამედ, როგორც
ქვევით ვნახავთ, ერთი მეორეზე უარესს ბეზღებას
აგზავნიდა, ვისთანაც ჯერ არს, ამ საბჭოზე და ეპის-
კოპოსზე.

საქმე, აი, როგორ იყო. 1902 წ. 26 ივნისს
სინოდმა დაამტკიცა ამიერ კავკასიის სამრევლო სკო-
ლებისათვის სავალდებულო პროგრამა. ეს პროგრა-
მა სამრიგად, სამ ტიპად ჰყოფს სამრევლო სკოლებს.
პირველ ტიპის სკოლებში დაცულია ადგილობრი-
ვი ენა, სალიტერატურო და სალაპარაკო. ამ ტიპის
სკოლებად ჩათვლილია ის სკოლები, რომლებშიც
სწავლობენ მხოლოდ მარტო ოდენ ბაშვები ისეთ
ერისა, ისეთი ხალხისა, რომელსაც აქვს თავისი სა-

კუთარი ღვთის მსახურება და შესაფერი საღვთის-
მეტყველო, ხუცური ენა, ხუცური მწერლობა. მაგ-
რამ ამ სკოლათა შესახებაც კი ნათქვამია:

„თუ მოხდა, რომ ქართველებმა, რომელისამე
ადგილის მცხოვრებლებმა, დაჲკარგეს თავისი მშობ-
ლური ენა ან და ხმარობენ კი ენას ზოგად ქარ-
თულ ენის ძირისას, მაგრამ კი ისე დიდად განსხვა-
ვებულს წმინდა ქართულ (სალიტერატურო) ენის-
გან, რომ ამ ადგილის მცხოვრებთ აღარ ესმისთ ეს
ენა, ამ შემთხვევაში ქართულ ენის სწავლება შე-
უწყნარებელია. მხოლოდ ღვთის მსახურების ტეკ-
სტები შეისწავლებიან იმ ენაზე, რა ენაზეც ამ ად-
გილებში სრულდება ღვთის მსახურება“. *)

მეორე ტიპის სკოლებში სწავლობენ შვილები
სხვა და სხვა ერებისა და ხალხებისა ერთად, მხო-
ლოდ კი ისეთ ერებისა, რომელთაც საკუთარ ენაზე
ღვთის მსახურება აქვთ. ამ შემთხვევაში ადგილობ-
რივი ენა, ერთი ან რამდენიმე ისწავლება სკოლაში
სხვა და სხვა ერთა, თუ ხალხთა შვილების რაო-
დენობის მიხედვით. მესამე ტიპის სკოლებად ჩათვლი-
ლია ისეთები, რომლებშიც სწავლობენ ბავშვები იმ
ერებისა, რომელთაც საკუთარ ენაზე ღვთის მსახურება
არა აქვთ. აქ ადგილობრივ ენას ადგილი არა აქვს.
აქ ყოველი საგანი რუსულად ისწავლება და „ამას
გარდა ბავშვები საღვთო სჯულის პირველსავე გაკვე-
თილებზე სწავლობენ რუსულ ენაზე სიტყვებს, რო-
მელნიც შედიან საღმრთო სჯულის კურსში, რამ-

*) იხ. გვ. 10 პროგრამისა.

дължна та^и Учебникъ при помощи наглядныхъ предметовъ и пособий.*)

այս աշետ արյուղ-դարյուղ Յնոցհամու և Տօսհու-
լու մոպան գոազալա ցորու-սամեցրյունու սամրյու-
լու կյուլյան սածքու սառլյա թյուալյուրյում, հո-
մելու 1902 թ. 20 ացություն Ն 931-ու ուժի մեջը-
թուա, հոմ Յորվյու Եկեղիստուուան Տայարուայունու
Տայարուան սասյուլույրու սարչացուան սամրյուլու ծյու-
լու սամրյուլու կյուլյան աթալու սամությունու
Յնոցհամուս; Հա ցորեա սածքու յս Յնոցհամա Շյուլս-
ց Մեմուունու, ցանսանցաւրու յո, ու հոմելու բուն
ամ Յնոցհամուս հոմելու կյուլյան ույու Մեմուունու-
լո. Ցուուեա ագրյուց Մեմուունու ոյնաս ցակա-
տուուտա ցարից-հուցյան տանաեմաւ աթալու սամությունու
Յնոցհամուս, ամաստան ցարաքրու ուեայուլությունու
ար-
կլասուան սամրյուլու կյուլյան սամությունու սամությունու ար-
կլասուան սամրյուլու կյուլյան յունու յահայունուս (եսու հուս). յահ-
տուլ սալություրաթյուրու յնու յափանյան յո ամ կյու-
լյան ար ոյնեծուա. Ցոնուան յս սամությունու
Յնոցհամա ցակա դամիւուցյուլու սամությունուս սոնո-
ւուսացան, սասյուրայունուա, ոցո Յնոցհամա Մեմուունու ոյնաս
սրուլյան սրուլյան ուպալյունուա. այ, յս սենա ցան-
ենուա սածքու դա տազու ցարաքրուու Յասյեն Մեյուու-
նունյան. հաճան յս Յասյեն ցորուա սամբյունու ույու
դա ոցո մոուուեա պազյու մերու ցարաքրուա, ամո-
ւում սածքու մանունդյունմա դրույնուու տապամարյու-
ման ահան յս մույրուունու ծ. ո. յուրանուա դա Յոր-
աւ ստեացա մաս, հոցուրու Տայարուա թյուալյու-

*) IB. 83. 15.

რეს, სკოლების ხელმძღვანელს და საბჭოს წევრს, წარმოედგინა საბჭოს მოსახსენებლად ამ საკითხის შესახებ თავისი მოსაზრება. მაგრამ ამის პასუხად ბ. თ. უორდანიამ მოითხოვა, თანახმად მოწერილობისა, ამ პროგრამის დაუყონებლივ სისრულეში მოყვანა, საბჭოს არ განეხილა ისე. ამას შემდეგ ეს მოწერილობა და ეს გარემოება დროებითმა თავმჯდომარებ მოახსენა საბჭოს იმავე წლის 20 ოკტომბერს. საბჭომ ერთხმად დაადგინა, რომ ამ პროგრამის სისრულეში მოყვანა შეუძლებელია, სანამ წარმოდგენილი არ იქნება მოსაზრებანი და დაწვრილებითი მოხსენება პედაგოგიურისა და დიდაკტიურის მხრით საეპარქიო მეთვალყურისაგან, რაიც მოეთხოვოს მას წერილობით. ამ სხდომაზე თვით საეპარქიო მეთვალყურე როდი გხლებიათ. თანახმად ამ დადგენილობისა, თავმჯდომარებ ზემო აღნიშნული მოწერილობა საოლქო მეთვალყურესი ზედწარწერით 24 ოკტომბერს 1902 წ. № 398 გადასცა საეპარქიო ვეთვალყურეს და მოსთხოვა მას თავისი დასკვნა. ამის პასუხათ საბჭომ 28 ოკტომბერსვე № 206 მიიღო ბ. თ. უორდანიას შემდეგი წინადადება:

„მაქვს პატივი უმორჩილესად ვითხოვთ განკარგულება საბჭოსი, რომ დაუყონებლივ გაეგზავნოს დაბეჭდილი ახალი სამოსწავლო პროგრამა (планъ) ყველა სკოლებს ეპარქიისას, რათა იგი შემოღებულ იქნას მიმღინარე სამოსწავლო წელს (для введенія въ дѣйствіе).“

დროებითმა თავმჯდომარებ ბ. თ. უორდანიას ეს უკვე წერილობითი წინადადება მოახსენა საბჭოს. უკანასკნელმა კვლავ ერთხმად, თანახმად წინანდე-

ლის თავის დადგენილ ებისა, მიანდო თავჯდომარეს განმეორებით მოეთხოვნა საეპარქიო მეთვალყურისა-გან თავისი დასკვნა. მართლაც, თავმჯდომარემ იმავე წლის 12 ნოემბერს № 422 კვლავ მოსთხოვა ბ. თ. უორდანის, დაჩქარებით წარმოედგინა თვისი მოსაზ-რებანი და საოლქო მეთვალყურის წერილობითი მო-თხოვნილებაც დაებრუნებია. დრო გადიოდა, პასუხი კი არსად სჩანდა. ამის პასუხად იმ ხანათ დროებით გურია-სამეგრელოს ეპარქის მმართველმა, ილავერ-დას ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (ეს უკანასკნელი გა-მოგზავნილი იყო ალექსანდრე ეპისკოპოსის ხენ-გრძლივისა და საშიშო ავათმყოფობისა გამო) საბჭოს გადმოსცა შემდეგი საჩივარი, თუ ბეზღობა, რომე-ლიც ბ. თ. უორდანის დიმიტრი ეპისკოპოსისათვის მიერთმია 1902 წლის 27 ნოემბრის თარიღით:

„ამა წლის სეკტემბერში საბჭოს კანცელარიაში მე შევნივნე ბროშიურების მთელი გროვა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, აღნიშნული ბროშიურები იყო სამრევლო სკოლების ახალი პროგრამები, რომელნიც საბჭოსათვის გამოეგზავნა საოლქო მეთვალყურეს სკოლებში შომივალის სამოსწავლო წლის დასაწყი-სიდანვე შემოსალებლად. მე მაშინვე წინადადება მი-ვეცი საქმეთა მწარმოებელს და შემდეგ საბჭოს დრო-ებით თამჯდომარესაც, რომ დაუყონებლივ დაერი-გებინათ პროგრამები სკოლებში. როდესაც დავრწ-მუნდი, რომ პროგრამები არ იყო გაგზავნილი, მე წერილობითი განცხადება შევიტანე საბჭოში, რომ პროგრამები დაუყონებლივ დაერიგებინათ სკოლებ-ში სისრულეში მოსაყვანად (დля введенія въ дѣйст-віе). ასეთივე წინადადება მივეცი საბჭოს დროებით

თავმჯდომარეს, მღვ. არსენ თოხაძეს, საბჭოს უკანასკნელ კრებაზე. მაგრამ მამა თოხაძემ, სხვა-და-სხვა მიხეზების წყალობით, ჩემი წინადადება უარ ჰყო და პროგრამები არ დაგზავნა. მოვახსენებ რა ზემო აღნიშნულს თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას, როგორც მოწყალე მღვდელმთავარს და მამას, მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს უმდაბლესათ ვიშუამდგომლო თქვენს წინაშე, რომ საოლქო მეთვალყურის განკარგულება სისრულეში იქმნას მოყვანილი.“

თანახმად ამ საჩივრისა, ეპისკოპოსი დიმიტრი გადაჭრით თხოულობდა:

„პროგრამები დაუყოვნებლივ დაიგზავნოს. ვერ გამიგია, რას აყოვნებდა ამდენ ხანს სამრევლო სკოლების საბჭოს კანცელარია? თვით პროგრამაში ხომ ნაბრძანებია უწმიდეს სინოდის სამოსწავლო საბჭოს მიერ მათი დაუყონებლივ დაგზავნა.“

მიუხედავად დიმიტრი ეპისკოპოსის ამ რეზოლუციისა, საბჭო პროგრამას სისრულეში მოსაყვანათ არ აგზავნიდა და უცდიდა ბ. თ. უორდანის მოხსენებას წერილობითს, ან სიტყვიერს თვით საბჭოს სხდომაზე, უცდიდა აგრეთვე საოლქო მეთვალყურის მოხსენების დაბრუნებას, რომელიც ბ. თ. უორდანის ჰქონდა გადაცემული 24 ოკტომბრიდან. ამ მოლოდინში 1902 წელიწადი დასრულდა, და 1903 წლის 27 იანვარს № 37-ით საბჭოს შემდეგი შინაარსის პასუხი გამოუგზავნა ბ. თ. უორდანიამ.

„ამასთანავე უმდაბლესად წარმოგიდგენთ რა საოლქო მეთვალყურის წინადადების დედანს 1902 წ. 20 აგვისტოს თარიღითა და № 931 აღნიშნულს, აქვე დავსძენ, რომ როგორც ხსენებულ წინადადე-

ბიდან ჩანს, ახალი სამოსწავლო გეგმა დაუყონებ. ლივ გაგზავნილ უნდა იქმნას სკოლებში სწავლების დროს სახელმძღვანელოდ; მაგრამ ეს წინადაღება, მიუხედავად ჩემ მიერ არა ერთგზობით, სიტყვიერად იყო ეს, თუ წერილობით, მოთხოვნისა, დღესაც არ არის შესრულებული, რის გამოც წელს სამრევლო სკოლები უგეგმოთ რჩებიან; იმ საკითხის განმარტება კი, თუ რომელს იმ სამ ტიპთაგანს უნდა მიეკუთვნოს ესა თუ ის სკოლა, — დავდაპირველად ეკუთვნის სამაზრო განყოფილებას და, ვიდრე ეს უკანასკნელნი არ გამოსთქვამენ თავიანთს აზრს ამის შესახებ, მე შეუსაბამოთ მიმაჩნია, (რომ დავიცვათ არსებული წესი) ამა თუ იმ აზრის გამოთქმა აღნიშნულ, მეტად რთულ საკითხზე, რომელიც თხოულობს მეტად დიდს სიფრთხილეს, მით უმეტესს დღეს, როდესაც, როგორც ეს თვით საბჭომაც უწყის, საზოგადოება აღელვებულაა არა კეთილ სიმედო პირთაგან გავრცელებულ ყალბ ხმებით. ეს ჩემი აზრი, — სამაზრო განყოფილებათ გადაეცეს აღნიშნული საქმე დასასკვნელად, — მე არა ერთხელ გამომითქვამს სეკტემბრიდან დაწყებული საბჭოს კრებაზე და, მეგონა, თვით საბჭოც ყოველთვის თანახმა იყო ჩემ მიერ წამოყენებულ რეზონებისა. ۴

თანახმად ამისა, თუმცა ეს აზრი ბ. თ. უორდანიასი საბჭოს პირველად ესმოდა, საბჭომ მაინც დაადგინა, ყოველივე მიწერ-მოწერა ამ საკითხის შესახებ გადაეცეს საბჭოს სამაზრო განყოფილებათ თავიანთ დასკვნისა და მოსაზრების წარმოსადგენად, რაც უკანასკნელთ დაუყონებლივ შესრულეს. ყველა სამაზრო განყოფილებამ თავისი დადგენილება

წარმოადგინა და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ
გურია-სამეგრელოს საეპარქიო სამრევლო სკოლები
ყოველი კუთხისა და კუნკულისა, გარდა ხუთიოდე
სკოლისა, უნდა ჩაითვალონ პირველ ტიპის სკო-
ლებად და, მაშასადამე, ყველა მათგან ში ქართული
სალიტერატურო ენა უნდა ისწავლებოდეს და სა-
ვალდებულო საგნადაც იქნეს მიჩნეული. ყოველივე
ამ გრძელ მიწერ-მოწერის საბოლოოდ განსახილ-
ველად 23 მარტს 1903 წ. მოწვეული იყო საბჭო
ამ სხდომაზე დასასწრებლად მოწვეული იყვნენ, გარ-
და ნამდვილი წევრებისა, საპატიო და სავალდებუ-
ლო წევრები, აგრეთვე საბჭოს სამაზრო განყოფი-
ლებათა თავმჯდომარენი და ოფიციალურ წერილო-
ბითის ქაღალდით თვით საეპარქიო მეთვალყურე, ბ.
თ. უორდანია.

შესდგა ეს სხდომა და სხდომაზე ოცამდე წევ-
რშა მოიყარა თავი. თამჯდომარემ მღვ. თალაკვაძემ
საბჭოს მოახსენა ყოველივე ზემო-აღნიშნულ საქ-
მის ვითარება და პირველადვე საბჭოს დაუყენა კით-
ხვა: მეგრული კილო და შორებულია თუ არა იმდე-
ნად ქართულს ენაზე, რომ მეგრელს ესმის თუ არა,
გაეგება თუ არა ქართული სალიტერატურო ენა,
და პირველად ამ კითხვის პასუხი მოსთხოვა ბ. თ.
უორდანიას ვით მეგრელს, პედაგოგს და სამრევლო
სკოლების ხელ-მძღვანელს. უკანასკნელმა პასუხის
მაგიერ თავმჯდომარეს მოახსენა: პირველად მე კი
ნუ მეკითხებით, სხვა აქ დამსწრე წევრებმა წარ-
მოსთქვან თავისი აზრიო გარდა ამისა საბჭოს სამა-
ზრო განყოფილებათა დადგენილებათ დაწვრილებით
უნდა გავეცნო და, ვიდრე საკუთარ აზრს წარმოვს-

თქვამდე, ჩემთვის საჭიროა, წინ-და-წინვე მოვისმინო ამ საკითხის შესახებ აზრი და შეხედულება სახლხო განათლების სამინისტროს წარმომადგენლებისა. აქ უნდა შევძიშნოთ, რომ ბ. თ. უორდანისა გაცნობილი ჰქონდა საბჭოს სამაზრო განყოფილებათა დადგენილება. გარდა ამისა ისიც ცნობილია, რომ სამინისტრო სკოლებში არა თუ სამეცნიელო-ში, არამედ მთელ საქართველოში შემოღებულია ასე - წოდებული მუნჯური მეთოდი. ამიტომ ბ. თ. უორდანისა პირველი მოთხოვნილება საკითხის გადადებას ნიშნავდა და ამით ცდილობდა, პირდაპირის პასუხის მიცემა თავიდან მოეშორებია. მეორე მოთხოვნილება კი აშკარად ვნების მოტანას გვიქადოდა. მართლაც, იქვე მყოფმა საერო განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა შენიშნა: ჩვენს სკოლებში მუნჯური მეთოდი რომ შეგვქონდა, თქვენთვის არა გვიკითხავს რა. თქვენ კი რად გვეკითხებით? განა ჩვენი აზრი და შეხედულება ცხადი და ცნობილი არ არის? და ნურც ფიქრობთ, რომ ჩვენი აზრი თქვენის საკითხის გადასაწყვეტად გამოსადეგი იყოს?! აქაც საბჭომ ბ. თ. უორდანისა დაუთმო და, თანახმად მისის თხოვნისა, დაადგინა და საბჭოს ამ დადგენილებაზე თვით მასაც ხელი იქვს მოწერილი: ამ კითხვის უკანასკნელად განსახილველად საბჭოს სხდომა გადაიდოს 16 აპრილისათვის, რომელზეც მოსახსენებლად ბ. თ. უორდანიამ უნდა წარმოადგინოს თავისი დასკვნა, გაეცნოს რა ამ ხნის განმავლობაში საბჭოს სამაზრო განყოფილებათა დადგენილებათ. 16 აპრილიც მოახლოვდა, და პასუხის მაგიერ საბჭომ 14 აპრილს ჯერ დეპრეშა, მერმე კი ნომერ-

დასმული ქაღალდი მიიღო. ბ. თ. უორდანია იწერებოდა: ვინაიდან ექსარხოსი აპირობს ეპარქიის დათვალიერებას და მე საოლქო მეთვალყურემ მიმიწვია, ვერც სხდომას დავდესწრები, ვერც დასკვნას წარმოვადგენ და ვითხოვ ექსარხოსის ჩამოსვლამდე ამ კითხვის განხილვა გადასდეთო. საბჭოს სხდომა ამის გამო არ შემდგარა და მართლაც ექსარხოსმა ეპარქია დაათვალიერა, იყო ფოთშიც. ექსარხოსმა და საოლქო მეთვალყურემ სიტყვიერად უბრძანეს საბჭოს თავმჯდომარეს, ზემოხსენებული საკითხი საბჭოს აღარ განეხილა და საბჭოს კანცელარიას წარედგინა საოლქო მეთვალყურესათვის სია მეგრულისა, გურულისა, რუსულისა და ბერძნულ სკოლებისა. დასამოწმებლად ამ სიტყვიერ განკარგულებისა საბჭომ მიიღო წერილობითი წინადადება ამის შესახებ ორის კვირის შემდეგ, ე. ი. 13 მაისს. ეს წინადადება განხილული იყო საბჭოს მიერ 30 მაისის სხდომაზე, რომელსაც ბ. თ. უორდანია არ დასწრებია, თუმცა ეს მან კარგად იცოდა, და რომელზეც დადგენილ იქნა: „წარედგინოს საოლქო მეთვალყურეს სია ეპარქიის ყველა სამრევლო სკოლებისა, თვითოვეულის მაზრის ცალ-ცალკე, ვინაიდგან ეპარქიაში არის მხოლოდ და ოდენ სამრევლო სკოლები და არა მეგრული, გურული, ბერძნული და რუსული, როგორც ამას საოლქო მეთვალყურე იხსენიებს ზემოხსენებულ მოწერილობაში. ეპარქიის ყველა სკოლა, გარდა ხუთიოდესი, რომელნიც მეორე ტიპის სკოლებად ჩაითვლებიან, ცნობილ იქნეს პირველ ტიპის სკოლებათ.“

აი, ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. ამას ვერავინ შეარყევს. ნათელსავით ცხადი იყო, რომ საბჭო ვერ დასთანხმდებოდა ამ პროგრამის სისრულეში მოყვანას, სულ ერთია, ვისაც უნდა მოეთხოვა ეს, რადგან ასეთი თანხმობა საბჭოს ზნეობრივთ დაამცირებდა და მამულისა და მომავლის წინაშე პასუხის მგებლად გახდიდა. მაშასადამე, საბჭოს მთელი თვისი ძალ-ღონე, გონებრივი და მატერიალური უნდა აემუშავებია ამ ძირითადისა და უკუღმართად დაყენებულ კითხვის გადასაწყვეტილ. საკითხი კი ბევრგვარი და დიახაც საჩითირო იყო. აქ საბჭოს ყოველი წევრი ნათელის მოსაზრებითა და მხნე გაბედულებით უნდა უშიშრად გამოსულიყო და ეს განსაცდელი სამრევლო სკოლებისთვის მოეშორებია. გადაჭრით გადასაწყვეტი იყო: 1) გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლები იმ სამ რიგში რომელი რიგისათვის უნდა მიეკუთნებია; 2) თუ საბჭო პირველ ტიპისად აღიარებდა ყველა სამრევლო სკოლებს, მაშინ მაინც გადასაწყვეტი იყო, ესმის თუ არა, გაეგება თუ არა სამეგრელოს მკვიდრთ ქართული სალიტერატურო ენა. თუ არ ესმისთ, მაშინ მშვიდობით ქართულო ენავ სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან; 3) თვით პროგრამა არეულ-დარეულია და სრულებით გაურკვეველი. ამიტომ საბჭოს უნდა გარკვევით აეხსნა ჯერ სამაზრო განყოფილება-თათვის, მერმე კი სამაზრო მეთვალყურეთათვის და მასწავლებელთათვის, თუ ეს პროგრამა როგორ, რა გზით მოეყვანათ სისრულეში; 4) გადასაწყვეტი იყო, დასთანხმებოდა თუ არა საბჭო საოლქო მეთვალყურებას, რომ ორ კლასიან სამრევლო

სკოლებში შემოღებული ყოფილიყო მხოლოდ საეკლესიო ქართული ენა (ხუცური), ქართული სალი. ტერატურით ენა კი არ გაეჭაჭანებია. ამასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მთელ ეპარქიაში ერთი და ორი კი არ იყო ორკლასიანი სკოლა, არამედ არა ნაკლებ ოციოდესი; ეს სკოლები საუკეთესო იყო და იმდენად საუმჯობესო, რომ საბჭო ყოველთვის ამ სკოლათა რიცხვს ამრავლებდა. თვით ბ. თ. უორდანია თავის ანგარიშში (იხ. გვ. 47) თხოულობს, რომ ყოველ საბლაღოჩინოში ასეთ სკოლების რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლებ ორისა. თუ მივიღებთ, რომ მთელ ეპარქიაში არის 29 საბლაღოჩინო, მაშან ცხადია, რომ 58 სკოლაში აღარ იქნებოდა ქართული სალიტერატურო ენა არა თუ სამეგრელოში, არც არსად მთელ ეპარქიაში, და უნდა შემოგველო რაღაც მოჭორილ-მოგონებული ვითომდა საეკლესო ქართული ენა. ისიც ცხადი იყო, რომ ამასაც მოკლე ხანში რაიმე სულ მცირე მიზეზი ვამოუჩნდებოდა, თუნდაც, მაგ., სახელმძღვანელოს უქონლობა და ეს ვითომდა ენაც მოისპობოდა, მოიკვეთებოდა. 5) თვით პროგრამმა ითხოვს (იხ. გვ. 10), რომ ადგილობრივს, ე. ი. ქართულ ენას, მხოლოდ დახმარებითი მნიშვნელობა უნდა ექნესო, პირველი ლულლული შეაძლებიოს ბაწმიაო, გონებითი განვითარება, დალაგებითა და მკაფიოთ აზრის გამოთქმა კი ქართულს არ მოეთხოვებაო. განა საბჭო ამას არ განიხილავდა, ისე ყრუდ დასტოვედა და მასწავლებელთა სრულს განკარგულებაში გადასცემდა? აი, ასე რთულ საკითხის გადაწყვეტა დაატყდა თავს საბჭოს. იქ, ამ კითხვის გადაწყვეტაში გამოი-

ხატებოდა მთელი მისი და მისი წევრები, მნიშვნელობა და მოვალეობის უესრულებაც. საბჭომ იცნო რა თავი დიდ პასუხის მგებელად, ამ კითხვას შეუდგა სრულის ბეჯითობითა და თანდათანობით და, მიუხედავათ საოლქო მეთვალყურის, ე. ი. ვოსტორგოვის იძულებითი მოთხოვნილებისა, საეპარქიო მეთვალყურის, ე. ი. თვით ბ. თ. უორდანის დაუინებით მოთხოვნილებისა და ბოლოს თვით ეპარქიის დროებით გამგის დიმიტრი ეპისკოპოსის ბრძანებისა, საბჭო არ აჩქარდა და გულდადებით ექცეოდა საკითხს. და მართლაც, როგორდ ზევით არის მოხსენებული, 30 მაისს 1903 წ. გაბედული და გადაწყვეტითი დასკვნა დაადგინა, რომელიც 13 ივნისს, ყოვლად სამღვდელო ოლექსანდრემ დამტკიცა, აი, ასეთ სამძიმო საკითხში ასე ორგულად, ასე გაძვრომ-გამოძვრომითა და პანზე სიტყვის აგდებით გვექცეოდა ბ. თ. უორდანია. მეტსაც ვიტყვით. დაუინებით გცთხოვდა და გვიჩიოდა კიზეც, პროგრამა განუხილველად სისრულეში მოგვეყვანა. მრსმა ასეთმა საქციელმა კი გვაიძულა, გვეთქვა ის, რაც ითქვა და დაიწერა და აქ ბრალი მხოლოდ თავის თავს დასდოს: მტრებს ნულა დაეძებს.

აი, საბჭოს ასეთმა ბეჯითობამ, მხნეობამა და მომხრეობამ ყოვლად სამღვდელო ოლექსანდრე ეპისკოპოსისამ ჰქნა ის, რომ ის უკულმართი პროგრამა სისრულეში ვერ შევიდა 1902—1903 სამოსწავლო წელს. დადგა ზაფხული. ამ პროგრამის შემოღებას 1903—1904 სამოსწავლო წლებში კი ხელს ისევ ის უშლიდა, რომ საბჭოს შედგენილობა და ეპისკოპოსიც იგივე იყო. ამიტომ განიზრახეს, ჯერ

ალექსანდრეს გადაყენება, მერმე საბჭოს გაბედული-
სა და დამოუკიდებელ წევრების დარბევა. ამის
შემდეგ კი ადვილი იქნებოდა პროგრამის შემოღე-
ბა. ეს მართლაც ასე მოხდა. 1903 წლის გასულს
ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე გადააყენეს, მის
მაგიერ განამწესეს დიმიტრი ეპისკოპოსი, რომლის
მოსვლა იმით აღინიშნა, რომ მეორე კვირაშივე ქარ-
თული ენა მოასპობინა სენაკის სასულიერო სასწავ-
ლებელში. ამ ხანებში საბჭოს წევრობაზეც ფაქტი-
ურად უარი განაცხადა ბევრმა წევრმა. შესდგა ახა-
ლი, რომელიც უკვე აღნიშნული იყო გაზ. „ცნო-
ბის ფურ.“ № 2751. მაგრამ ამ დროს ატყდა ომი.
ვიღას ახსოვდა პროგრამის შესრულება! ის კი არა,
ის უკულმართი პროგრამა თვით მისმა მომგონელებ-
მა შეუძლებელად იცვნეს, და კვლავ აფრინეს პეტერ-
ბურგს კაცი ახალის პროგრამის შესადგენად, რომე-
ლიც კიდეც გამოიცა წარსულ წელს. მაგრამ ამ
პროგრამასაც ჩოუსწრო სვიატაპოლკ-მირსკის გაზაფ-
ხულის სიომ და დღეს იგი პროგრამაც არის „ცისა
და ქვეყნის შუა დაკიდულ“.

აი, რა ნაირმა რიგმა გარემოებათა შესძლო ის,
რომ „უუძლიერესი იერიში“ მოგერებულ იქნა, და
არა ბ. თ. უორდანიას ნაცარ-ქექიობამ, მეტი რომ
არა ვსიქვათ.

ახლა კი გადავიდეთ აწ დაუვიწყარ ნადიმზე,
რომელიც 25 აპრილს 1903 წ. ქალაქის გამგეობის
დარბაზში გაუმართა ექსარხოსს ფოთის ქალაქის თავ-
მა. ამ ნადიმის მემატიანობა ბ. თ. უორდანიამ თვი-
სის ნებაყოფლობით იკისრა. ამიტომ ჩვენ აქაც იძუ-
ლებული ვართ, არსებითი დამატება შევრტანოთ,

რადგან არ გვსურს, ისტორია მოტყუებულ იქნას. თვით ბ. თ. უორდანიას თვისის ანგარიშის 29—30 გვერდებზე ვრცლად, მაგრამ კი სრულებით ცალ-მხრივადა და მიკერძებით მოთხრობილი აქვს ამ ნა-დიმზე ოღძრული კამათი. 25 აპრილს 1903 წელს ქალაქის თავმა გამგეობის დარბაზში მიიწვია სადი-ლად მაღალ-ყუვლად უსამღვდელოესი ექსარხოსი ალექსი თვისის ამაღით, ყოვლად სამღვდელო ალექ-სანდრე, აგრეთვე ყველა ადგილობრივ დაწესებულე-ბათა უფროსები და საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს თითქმის ყველა წევრები. უნდა აღვნიშნოთ, რომ სადილის წინ სავაურ პროგიმნაზიის ბალავრის კურ-თხევის დროს ექსარხოსის წარუდგა დეპუტაცია სამ ადგილობრივ მეგრელთაგან შემდგარი, რომელთ მო-ახსენეს, რომ თვით ამ შენობის ჩვენის საკუთარის ხარჯით, ხაზინის დაუხმარებლად, აგება უტყუარი საბუთია, რომ ჩვენ, ადგილობრივ მკვიდრთ უღრმე-სი და უძლიერესი სურვილი გვაქვს, ზედ - მიწევნით ვიცოდეთ სახელმწიფო რუსული ენა, მაგრამ ამას-თან მაინც ვითხოვთ, რომ ჩვენ, მეგრელთათვის მშობლური ქართული ენა, რომელზეც გვილაპა-რაკნია და ვსაუბრობთ, გვიწერია და ვწერთ ყო-ველგვარ საბუთებს, დავთორებს და სიგელებს, გვი-ლოცია და ვლოცულობთ, გამოდევნილი და გა-მოძევებული არ იყოს სამეგრელოს სამრევლო სკო-ლებიდან და იგი ენა სავალდებულო საგნად ით-ვლებოდეს, მით უფრო, რომ ეს ენა ამავე დროს საღმრთო მსახურების ენაც არის. ამაზე იქ, გაშ-ლილ ჰაერზე მთელი ფოთის საზოგადოების წინაშე ექსარხოსმა ჰასუხის მიცემა უხერხულად სცნო,

առ ոնցից օր, յև Շեմպատիլո սաղմարո ծ. ճ. նոյունացի կը լուս է լուսի սաւունք, ծ. ճ. նոյունաց վրւուլու և սա սանցուանու մուսանցունքու գաջակնու շմիկուցեթձա ցիսարեռու սափեզու սափուրուց յար- տուլ սալությունագուրու յնուաս սամեցրու սամրեզ- լու սյուլցեթձու և օմ գարյունուց ատուցեթձա, ու հա սա՛մուն Հա արա սասուամուն Շեդյու մուցուցունք օմ յնու գամուցուց յաս. ծ. թ. յուրանուաս կո մու- հիցենցուն, հռմ ըցքութաւուց և ծ. ճ. նոյունացի ը ցուումը տեսուլունքուն, յարտուլ յնանց Եւ մու- նուն լուտու մսանցուրց յաս սամեցրու ցուլցուց յուն. սասուան մուսկուրա յև ծ. թ. յուրանուամ? յանա լուսա- յարեցուն, հռմ ծ. ճ. նոյունացի, Վյզու սամրեզ- լու սյուլցեթձու սանցուուս և սայառութու յալույնու տացս, մուցուն Վլու յանմացունքուն յար Շեցնու և օր կը ունունքուն, ու հանց ույու լուսարայու, ան հանց յնդա մոյեխենցուն յիսարեռունուստուուս? սամեցրու յուն յարտուլ յնանց լուտու մսանցուրց յաս առու առացուն յեցուն յեց- նունք, առու առացուն սկունքուն և, մանասունք ամանց լու- սարայու եռմ Վյունու նայու օվնցենքուն.

Օմու პասուխաւ չյեր յիսարեռունմա, մյունց մուսու ծիւ նյենու, սառլյու մյուտալունուրց ա՛մյարաւ գամուստյաց, հռմ մյցրուլու յնա սրուլցենու լուսուցունքուն յնա, մյցրու յարտուլու յնա սրուլցենու օր յեմու և յև յնա օր հասուցունք մյցրու յունութատուուս մշոնքուն յնաւ, զոնանուն մատու մշոնքունու յնա մեռլուն և առյեն մյցրուլու յնա; Յը օգուցուրու մուտեռունունք- նա, հռմ սպանքու, գայուցին հռմ յնդա օնթացունք- նունք յասացեթ յնանց; մյցրու յունութատուուս յասացեն յնա մեռլուն մյցրուլուն. հա սափուրու օրուսու, սոյցա ման,

რუსული ხელისათვის ჯერ ღმერთად გა-
დითარგმნოს და მერმე ღორონთადო. საზრიანი პე-
დაგოგია მოითხოვს, რომ ხელი პირდაპირ ღორონ-
თად ითარგმნებოდეს და ღორონთი ხელი-ად. მე-
გრელები ქართველები არ არიან. მაშ რაღად აწვა-
ლებთ მათ?.. ამაზე ბ. ნიკოლაძემ უპასუხა, რომ
სკოლა მარტო მეთოდით კი არ სცხოვრობს, სცხოვ-
რობს ხალხის ნდობით, თანაგრძნობითა და შემწეო-
ბით. ქართულ ენის გამოდევნის შემდეგ, ხალხი
თქვენს სკოლას შეიძულებს, რადგანაც მის გონე-
ბაში სკოლა განვითარების კი არა, პოლიტიკურ
ძალადიანობის იარაღად ჩაითვლებათ.

შემდეგ ამისა ექსარხოსმა არა ერთ გზით გა-
მოიწვია ბ. თ. უორდანია და მასაც თვისი აზრი მოს-
თხოვა ამ საჭირ-ბოროტო საგანზე. მაგრამ აქ, რო-
გორც თქვენ, ჩემთ მკითხველო, არა გითქვამთ რა,
არც ბ. თ. უორდანიას არა წამოცდენია რა. მაშა-
სადამე, ბ. თ. უორდანიას მოხსენება, ვითომც მის
ეფექტს,—ვъ этомъ большомъ собраніи я (г. наб-
людатель) не знаю ни одного, который могъ бы
сказать, что мингрельцы не грузины,—მტკნარი,
ფეხებიანი სიცრუვეა, რადგან იგი ამას ვერც იტუო-
და. სწორეთ ასეთმა ბ. თ. უორდანიას საჭირელმა
აიძულა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, კაცი
პირუთვნელი და პირდაპირი, იქვე ეთქვა, როცა ბ.
თ. უორდანია ადლეგრძელებს: „თეოდორ დავидыч!
желаю Вамъ быть искреннимъ, недвоедушнымъ,
не вилять хвостомъ, изъ за генеральства не про-
давать родного языка“.—აქ სიტუა ალექსანდრეს
ექსარხოსმა ჩამოართვა და სთქვა: „И, действитель-

но, онъ будеть генераломъ“. ბ. თ. უორდანიამ ყოველივე ამას გვერდი აუარა, არც არა სთქვა იმის შესხებ, თუ რაოდენ მართალი იყო საოლქო მეთვალყურის ნალაპარაკევი. ამ დროს ქალაქის თავმა ბ. ნიკოლაძემ მიმართა ბ. თ. უორდანიას და შემდეგი პრაკტიკული კითხვა დაუყენა: „მითხარით, როგორც პედაგოგმა, მართლად და გულწრფელად, რუსული ენა ჩვენს სკოლებში როდის უფრო მაღი, ადვილად და კარგად შეისწავლება, ქართული ენის გამოდევნით, თუ მისი დატოვებით?“ აქაც ბ. თ. უორდანიას სრულიად არა უთქვამს რა. სადილის ამ აღწერილობიდან და, ამას დაამოწმებენ ყველანი, ვინც იქ იყო, ცხადათ ჩანს, თუ რაოდენი სიმართლე აქვს ბ. თ. უორდანიას, როცა ამბობს, რომ „ვიხვეწებოდი, საქვეყნოდ მალაპარაკეთ კრებებშით“. სიტყვა მისცეს კი არა, მოთხოვეს კიდეც და იგი ამ დროს სდუმდა.

დაგვრჩა კიდევ კითხვა ანგარიშის შესახებ. აქაც სიმართლე უნდა გამოვაშკარავოთ, რადგან ამ საკითხის გარეითად განხილვით ბ. თ. უორდანია ლამის, ცოტაოდენი გასამართლებელი საბუთი მოუძებნოს თვის არასაკადრისს საქციილს. მართალია, ბ. თ. უორდანია, როცა ამბობს, რომ ანგარიშის ბოლო ხანებში დაბეჭდილი 29—30 და ორი შემდეგი გვერდიც ციფრით აღუნიშნველი დედანთან სწორია. მაგრამ ისიც მართალია, რომ პირველად დაბეჭდილი ანგარიში, რომელსაც ბ. თ. უორდანია დღეს ყალბად აღვიარებს და რომლის რამდენიმე ცალის შოვნას იგი ქურდობად თვლის, ცხადათ, მკაფიოდა და გადაჭრით ამბობს იმასავე, რასაც ხელმეორედ და-

ბეჭდილი, დედანთან შესწორებული ანგარიში. როგორც მიღებულია, საეპარქიო მეთვალყურის მიერ შედგენილი ანგარიში პირველად განიხილება საბჭოში. ახლაც ასე იყო. ბ. თ. უორდანიას მიერ შედგენილი ანგარიში 1902—1903 სამასწავლო წლის ახალ წევრთაგან შემდგარმა საბჭომ მოისმინა წარსულ წლის აპრილის შუა რიცხვებში. ამ სხდომაზე საბჭომ თავმჯდომარეს მღვ. ივანიცკის და წევრს ბ. გ. მარგალიტაძეს მიანდო ამ ანგარიშიდან ბევრ უხერხულ ადგილის გამოტოვება, როგორც, მაგ. პირდაპირი დაბეზღება ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსზე (იხ. დედანის 6, 8 და 30 გვ.), *) საბჭოს უწინდელ წევრებზე (იხ. დედანის

*) გვ. 6. „ვინაიდან ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მიერ გამგებლობის დროს 1898—1903 წ., ეპარქიის სამღვდელოებაში შესამჩნევად დაეცა სამრევლო სკოლების კარგად მოწყობისადმი მისწრაფება.

გვ. 8. „სკოლათა რიცხვის შემცირება გამოწვეული იყო ბევრ მიზეზთაგან, რომელთა შორის უმთავრესი ჩვენ უკვე ზევით აღნიშნეთ. ეს მიზეზია სამღვდელოების ენერგიის შესამჩნევი შესუსტება 1899—1903 წლებში და ეს შესუსტება კი გამოიწვია იმან, რომ ეპარქიის უფროსი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა ეპარქიაში სამრევლო საეკლესიო განათლების გავრცელებას. რაც კი სამრევლო სკოლათა სასარგებლოდ არსებითი და დიდათ მნიშვნელოვანი გაკეთებულა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლათა ამ სამწუხარო ვითარების ხანაში, ყოველივე ამის მიხწევა მხოლოდ ბრძოლით-და შეიძლებოდა. უკიდურეს შემოხვევებში კი უნდა მივწერებულიყვაით საეპარქიო მეთვალყურის საშუალებით საქართველოს ექსარხოსთა დახმარებას“. (ასეთი მინდობილება კი მისთვის საბჭოს არასულებს არ მიუცია).

გვ. 30),*) აგრეთვე საერო სასწავლებლებში კურს-დამთავრებულ ქალებზე (იხ. დედანის 39—40)**) და ბევრი სხვა. საბჭომ აგრეთვე საჭიროდა და სა-ვალდებულოდ სცნო, ბ. თ ჟორდანიას მიერ აღწე-რილი 25 აპრილის ნაღიმი გამოტოვებულ ყოფილი-ყო. საბჭოს ამ გადაწყვეტილებას თვით ბ. თ. ჟორ-

30. „სამძიმოა აღსანიშნავად, რომ თვით ყოვლად უსა-მღვდელოესმა ალექსანდრემ, როცა ეპარქია მოიარა საქართ-ველის ექსარხოსის მობრძანების შემდეგ, განავრცელა ხალხში ბრიყვული აზრი (НЕПРЪПЫЙ СЛУХЪ), ვითომც ქართული ენა გამოძევებულია საეპარქიო მეთვალყურის ხრიკებისა გამო (благодаря проискимъ). ამ ხმებმა განსაკუთრებით დი-დათ აღაშფოთა სამღვდელოება, და საეპარქიო მეთვალყურეს უსიამოვნო შეტაკება ხვდებოდა იმ პირებთან, რომელნიც შე-ცდომაში იყვენ შეყვანილი ეპარქიის უფროსის ბაგეთაგან წარმოთქმულ სიტყვებით. ამ უსიამოვნობას ისიც დაერთო, რომ ყოვლად სიმღვდელო ალექსანდრემ ნება მისცა თავის თავს საეპარქიო მეთვალყურისადმი მიმართულ საგაზეთო წე-რილში „იცერიის“ № . . . შეემჩნია (намекнутъ) „მისი ურიგო საქციელი ქ. ფოთში აპრილის დამლევს“ (იგულის-ხმება საქციელი ჩადენილი ზევით მოყვანილ ნაღიმზე ქ. ფოთ-ში 25 აპრილს), რაც აგრეთვე ყველამ იმავე აზრით გაიგო, ე. ი. უკანასკნელის მიერ ქართულ ენის დევნად. ურიგოა პასუხი ვუგო მღვდელ-მთავარს გაზეთის ფურცლებზე, და რე-დაქცია კარგად მოიქცა, რომ პასუხი არ დამიბეჭდა“.

*) გვ. 30. „უკეთურების გამზრახ პირებმა განავრცე-ლეს ხმა, ვითომც საეპარქიო მეთვალყურემ იმ სადილზე „გაპ-ყიდა ქართული ენა“ და იმავე დღეს მან ძლივს თავი დაახ-წია საშიშ თავდასხმას ბრძოსაგან და შემდეგ მან განიცადა ბევრგვარი უსიამოვნება არა თუ მხოლოდ ქუჩებში და კერ-ძო შეხვედრებში, არამედ გაზეთის ფურცლებზე დაც.“

**) გვ. 39—40. „საერო სასწავლებლებში კურს დამ-თავრებულმა ქალებმა (ზოგიერთმა თვით საეპარქიო საქალე-

დანიაც, სხდომაზე დამსწრე, დასთანხდა. ამ ანგარიშის მეორე კორეკტურა თვით ბ. თ. უორდანიამ დაიჭირა. შემდეგ ამისა გამოვიდა დაბეჭდილი ანგარიში, ბ. თ. უორიანიას მიერ ხელ-მოწერილი. ყვე-

ბო სასწავლებელშიც) ვერ გაამართლეს საზოგადოების იმედი: ქალიშვილები სასწავლებლიდან გამოვიდნენ შერყეულ რელიგიურ შეხედულებისა, გულ-გრილნი სარწმუნოებაში, ამ საფუძველში ყოველგვარი ზნეობრიობისა და ჭეშმარიტ საზოგადოებრიობისა და ბედნიერებისა (რამდენათაც ეს აისაღწევია დედა-მიწაზე), შერყეულნი ადამიანის ბედნიერების თვით საფუძველში—სარწმუნოებაში—ქალიშვილები სუსტნი აღმოჩნდნენ ჭეშმარიტ ცოლ-ქმრობაში, ცუდ-დედებად, ხშირად მავნებლებადაც, მეტად უხამს (неудачныи) დიასახლისებად, ოჯახის ქონების უანგარიშოდ მფლანგველებად, ხან-და-ხან ოჯახისა და ნათესავთა შორის შეუთვისებელნი, არა იშვიათად გარბიან დროებით ან სამუდამოდ გარეშე პირებთან და სხვა ღვარებთან, ყოველთვის მაძიებელნი სხვა-და-სხვა გვარისა და სახის ხორცეულ კმაყოფილებათა, სულიერ კმაყოფილებათ კი პოულობენ ცეკვაში, კვალრების დევნაში, ფუჭლაყბობაში, მსახიობთ ხილვაში, სატიატრო ხმაურობაში, ბალეტებში, მასკარადებში, ბანქოს თამაშობაშიაც კი, გულის-თქმით საესე ლხენაში, მუსიკის ხმაურობაში, თავდაუჭერელ ქეიფობაში (Въ оргияхъ пиршествъ и въ шумихъ пикникахъ) და სხვა და სხვა გასართიბებში... ამ მორთულ-მოკაზმულსა, ჰკუა თხელ დედოფალაებსა, რომელთ გამოუტანიათ სკოლებიდან მხოლოდ დიდი გროვა გაზეპირებულ სამეცნიერო ტერმინებისა, ზნეობრივ სენტენციებისა (ცხოველ ზნეობრიობის უქონლობით), ფუქსავატ-ფრაზებისა და მთელი კოდექსი გარეგან ზღილობის წესებისა (მაგრამ არ იციან კი უუმთავრესი და არსებითი სიამოვნება ოჯახური ცხოვრებით), უკვე ჩამოშორდა სოფლის საზოგადოება, რომელმაც შიშით დაუწყო ცქერა ახალს, სრულებით უსიამოვნო ტიპს განათლებულ დედაკაცისას.

ლას შეეძლო, ეს ანგარიში მიყლო. ქურდობას კი აქ ნეტა რა ადგილი აქვს. ის კი არა თანახმად ბ. თ. უორდანიას წერილობით საბჭოსადმი თხოვნისა 28 ივლისიდან 1904 წ. № 232 ამ ანგარიშის ერთი ცალი გაეგზავნა 31 იმავე ივლისს № 312 საექსარხოსოს სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს თფილისში, ერთი ცალი 5 აგვისტოს № 320 საოლქო მეთვალყურეს, მამა ვოსტორგოვს და ერთი მასაც. ამას შემდეგ კი 15 აგვისტოს საბჭომ მიიღო ბ. თ. უორდანიას ასე წოდებული „პროტესტი“, რომელშიც თხოულობდა, დაბეჭდილი ანგარიშები დაატყვევეთ, ვინაიდგან ჩემად ვერ ვცნობო. ეს „პროტესტი“ საბჭომ განიხილა მხოლოდ სეკტემბრის შუა რიცხვებში და ბ. თ. უორდანიას ნება მისცა შეცდომები შეესწორებია. ეს უფლება კი მან ისე გამოიყენა, რომ თვისი დედანიდან გადმოხტევდა მხოლოდ 25 აპრილის ნადიმის აღწერა, დანარჩენი მის დედანში მოთავსებული ხელის-ხელ საგოგმანები მარგალიტები, აი, ასეთები, ზევით რომ მოყვანილი მაქვს, გადმოუსტამბელი დასტოვა. რამდენადაც საბჭოს საქმეები გვამცნევს უკანასკნელად შეწორებული და ბ. თ. უორდანიას მიერ ნამდვილად აღსარებული ანგარიში უწინდელის ვითომ ყალბის ანგარიშის სამაგიეროდ როდი გაგზავნია ზემოდ აღნიშნულ პირთ და დაწესებულებას. აქედან სჩანს, რომ ეს ანგარიში იანუსივით ორპიროვანია: ერთი მთავრობისათვის, მეორე კი საზოგადოებისათვის... ჩვენ ახლა არ გამოვუდგებით, შევაფარდოთ ორი არსებული ანგარიში და მკითხველისთვის ცხად ვყოთ, რომ მათ შორის არავითარი ლოლიკური განსხვავება

аռ արուս. ամս օնուց մովմոծներ, հռամ սածքու տազմշլո-
մարկեմա და წევրմա, որովզեթ սյմինարուա՛ն კუրս და-
մտավրեծուլցեմա დედանո օնց Շեասթորյես, հռցորու
პուրագուած დածելունո անցարուա՛ն, (ամ პորտ կը ծ. ո.
շորդանու „մტրուն Շուրուտ დածելուեծուլցեած“ զեր
უնցա սպնոծքնես) და օնուց, հռամ ցիւսահեռուսուս და
զուստորցունուս մոյր ზեմոցամուտյմուլս անհրեծ ալո-
արկեմ օնցու „პէդացոցուր ավսումած, հռուլուս წո-
նամլցեց ծ. ն. նոյունաժեմ զուտումը զերագրուս տվի
զեր Շեումլու“. (օն. անցարուա՛ն ցը. 30).

Սպանասկնցը ծ. ո. շորդանու ամծունես: „ցենցեր-
լունուն հինչե մը տցուտոն ցիւսկունուսմա ալյէյսանցրեմ
წարմացցնա, ցենցերլունուն հինո մը մռմւա հյեմա տա-
նամլցենուամ, տցուտ կանոնմա, առա հյեմուս սպանուսցունուն
ցուլցուտունունամ“. ո. ց մռեսցենցեալ ծ. ո. շորդանու-
սո մարտալու առ արուս, յրտու մուրու, հռամ ցենցեր-
լունուն մյեսուտյ կլասուս մռեցլցս մոյւցըմա առա եան-
ցրմլունուս սամսանցրուս մոյեցցուտ, առամյել հռցորու
շմալլուց չուլցու ցանեեցեծուլուս დա Շեսանունա-
ցուս սամսանցրուստցուս, մյուրյու օմուրու, հռամ ցուցուած
սամլցուլու ալյէյսանցրե ցիւսկունուս ցենցերլունուն
մաս զեր წարմացցենց, հասալ ցիւսած, սուրցուս Շեու-
ծրունցեծլուած մովմոծներ Շեմլցցու հյետունուսու, 25
մարտուս 1903 წ. տարունուտ: въ виду просьбы г.
Жорданія о представлениі его къ чину действи-
тельного статского советника, я не намѣренъ его
представить за особыя выдающіяся заслуги, такъ
какъ онъ таковыхъ пока не проявлялъ. ցենցերլու-
նուն ծ. ո. շորդանու წարմացցնա დიմուրու ցիւսկու-
նուսմա, ցուրուս-սամյեցրյուլուս ցիւսկունուսած დանունցնու-

ს.თანავე, სახელდობრ 28 ნოემბერს 1903 წ. № 150.
ხელი-ხელს ბანს, როგორც ხედავთ.

P. S. ეს წერილი უკვე დამზადებული იყო და
კონვერტში ჩადებული, როცა მივიღე „ცნობის
ფურცლის“ № 2778 22 მარტის თარიღით, რო-
მელშიაც მოთავსებულია ბ. თ. უორდანის წერილი
რედაქციისადმი. ვინაიდგან ამ წერილში არ მოიპო-
ვება არავითარი ახალი საბუთი და ვინაიდგან ამ ჩემ
წერილში ზეცით განმარტებული მაქვს ამბავი ვი-
თომ ყალბის ანგარიშის გაჩენისა, ამიტომ ახალს აღა-
რას დავსძენ. ვიტყვი კი, რომ ამ ჩემ წერილიდან
მგონია მკითხველმა ნათლათ უნდა დაინახოს, თუ
რაოდენ „მოღვაწეობით დატვირთულია პიროვნება“
ბ. თ. უორდანისი, ან თუ „ქართულ ენისათვის
მრავალ-ჯერ და მრავალ-გვარად ტანჯულ - წამებუ-
ლია“ იგი. კიდევ დასძენს ბ. თ. უორდანია, რომ
„ღმერთმან ჩემს პირს სიცრუვე ნუ ათქმევინოსო“...
ამაზე მოვაგონებ, რომ გუა ია-სამეგრძლოს სამრევ-
ლო სკოლების სამოსწავლო საბჭო იმდენად გააჯე-
რა ბ. თ. უორდანია თვისი სიცრუებით, რომ საბ-
ჭო იძულებული იყო ყოველ სხდომაზე, როცა ბ.
თ. უორდანია დაესწრებოდა, ყოველ სიტყვიერად
მის მიერ მოხსენებულ აზრზე ხელი მოეწერინებია,
რადგან უამისოდ ბ. თ. უორდანია მეორე დღესვე
თვის აზრს უეჭველათ გადათქვამდა...

ქ. ფოთი, 23 მარტი 1905 წ.

37

03 252